„მუშათა განთავისუფლება — მუშათა საქმეა“

საქ. რევოლიუციონურ სინდიკალისტთა მაშვრალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ნაკადი

ფასი 1 მან.

№ 30 კვირა 15 ივნისი 1919 წ.

გაზეთი ამთავითვე გამოვა კვირაში ერთხელ კვირაობით.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის

გაზეთ

**„ახალი ნაკადი“-ზე**

გაზეთი გადიდებული ფორმატით გამოვა კვირაში ერთთხელ კვირაობით

**გაზეთის ფასი:**

ერთი თვით 4 მან., ცალკე ნომერი 1 მან.

დაკვეთა შეიძლება წლიურად. მიიღება განცხადება.

ხელის მოწერა მიიღება გაზეთის კანტორაში სასახლის ქ. № 5, ქართულის კლუბის შენობ. ყოფილ სამხედ. კავშირის ოთახში. იქვე შეიძლება მდივნის ნახვა დილის 9—2 საათამდე და საღამოს 6—8-დენ.

გამოვიდა და იყიდება

**გალაკტიონ ტაბიძის**

ლექსთა მეორე წიგნი, რომელშიაც მოთავსებულია ავტორის ლექსები 1914—1919 წლამდი. წიგნი სუფთათ არის შედგენილი და ძვირფას ქაღალდზე და ღირს 25 მანეთი.

დედა-ქალაქი 15 ივნისი 1919 წ.

**ამიერ-კავკასიის მუშათა წარმომადგენლების კონფერენცია.**

ამ თვის 21-თვის განზრახულია ტფილისში მოიწვიონ ამიერ-კავკასიის მუშათა წარმომადგენლების კონფერენცია და ამ მხრივ უკვე სწარმოებს მოლაპარაკება ბაქოსა და ტფილისს შორის. ვფიქრობ, რომ კონფერენციის განხილვის საგნად უნდა იქნეს მხოლოდ ერთი საკითხი: ბრძოლა დენიკინთანო. რასაკვირველია, ჩვენთვის, რევოლიუციონური სინდიკალიზმის მიმდევართათვის, თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიის მუშათა ყრილობას, შრომის მატარებელთა კრებას. არა ნაკლებ საყურადღებოა ჩვენთვის ბრძოლა დენიკინის შავი ბანდების წინააღმდეგ და მოვუწოდებთ ამხანაგებს, უახლოესი მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში და ეცადონ ჩვენი წარმომადგენელიც აირჩიონ ამ ყრილობაზე.

მაგრამ ჩვენ გვინდა გამოვარკვიოთ ისიც, თუ რა უნდა გააკეთოს ამ ყრილობამ, უნდა დაკმაყოფილდეს იგი მხოლოდ დენიკინთან ბრძოლის საკითხით, თუ უნდა უეჭველად შეეხოს სხვადასხვა საკითხს, დღევანდელ მომენტთან დაკავშირებულს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყოვლად შეუძლებელია‘ შეიკრიბოს ამიერ-კავკასიის მუშათა წარმომადგენლების ყრილობა და მისი მსჯელობა მხოლოდ დენიკინთან ბრძოლის საკითხით ამოიწუროს. დღეს მრავალი საკითხია წამოჭრილი ყველა ერის მშრომელი ხალხის წინაშე და იგინი კატეგორიულად მოითხოვენ გარკვეულ პასუხს. ერთ ასეთ საკითხად ჩვენ მიგვაჩნია აუცილებელი მოთხოვნილება, რათა მუშათა კლასი ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლდეს სხვათა მზრუნველობისაგან, ვინც არ უნდა იყვენ იგინი ბოლშევიკები, თუ მენშევიკები, და საკუთარი დამოუკიდებელი შემოქმედებით შეუდგეს შრომის ორგანიზაციის მოწყობას, წარმოების მოწესრიგებას, რათა დაუყოვნებლივ შეიქმნას ელემენტები მომავალი სოციალისტური საზოგადოებისა. თუ დღემდის მუშათა კლასი სხვადასხვა პოლიტიკურ-სოციალისტურ პარტიათა ზრახვების ობიექტი იყო მხოლოდ, თუ იგი მათ მისწრაფებას სახელმწიფოებრივი ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისას თავგანწირულად ემსახურებოდა და შემდეგ დიდ გარდაქმნაზე ოცნებობდა, დროა, ეხლა მაინც გარკვეულათ შეიგნონ შრომის შვილებმა, რომ ყოველ შემთხვევაში თუ ცუდად არა, ნაკლების შედეგით ჩაიარა ამ მხრივ მათმა თავგანწირულმა ბრძოლამ. ისტორიის მწარე გაკვეთილი, განვლილი ბრძოლის ეპიზოდები ამას ცხადად უკარნახებს მუშათა კლასს. და თვით მომავლის განხორციელებაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად განსთავისუფლებს იგი თავს ძველი ცრუმორწმუნოებისაგან და ხორცს შეასხამს შესანიშნავ დებულებას; მუშათა განთავისუფლება მუშათა საქმეაო.

ჩვენ გვახსოვს ის კონფლიქტი, რომელიც ამიერ-კავკასიის ორი სამოეწველო ქალაქის ტფილისის და ბაქოს მუშათა ცენტრებს შორის მოხდა. ჩვენ გვწყინდა ეს კონფლიქტი იმდენად, რამდენადაც შრომის ოჯახში უთანხმოება დღეს სასურველი არ არის, მაგრამ გავბედავთ და ვიტყვით, რომ ჩვენ ეს კონფლიქტი არსებითად კვლავ იმ ძალა-უფლებისათვის ბრძოლად მიგვაჩნდა, რომელიც მუშათა კლასმა თავის ხელმძღვანელ პარტიათაგან გადმოიღო და შეითვისა.

ჩვენ კარგად ვხედავთ, როგორ ღრმად აქვს ძვალსა და რბილში გამჯდარი საქართველოს მშრომელი ხალხის უმრავლესობას მენშევიკური სულისკვეთება და ვიცით ისიც, თუ ხშირად როგორ დაუფიქრებლად ხდება იგი ამ პარტიის ბრმა იარაღად.

მაგრამ ჩვენ ის საშინელებაც კარგად ვიცით, რომელსაც ბოლშევიკებთა საბრძანებელში აქვს ადგილი. და ეს საშინლება ხშირად სწორედ იმავე მშრომელი ხალხის სისხლსა და ხორცზე იკვებება. ჩვენ არ ვეკუთვნით იმ ხალხს, ვინც ბოლშევიკებს უსამართლოდ და შეუსაბამოდ იხსენიებს. პირიქით, ჩვენ ხშირად აღტაცებას განვიცდით იმ თავდადებული ბრძოლის წინაშე, რომელსაც ბევრი გმირი ბოლშევიკი აწარმოებს, მაგრამ ნურას უკაცრავად, თუ ჩვენ ამ ბრძოლის მეთოდს ვერ გავიზიარებთ და ვერც იმ მოვლენაზე დავხუჭავთ თვალს, რომ დღეს ბოლშევიზმის „იარლიკს“ ბევრი „ველიკოდერჟავნიკი“ და საზიზღარი შოვინისტი ატარებს. დიაღ, ჩვენ მთელის არსებით წინააღმდეგი ვართ მენშევიკების პოლიტიკისა, მაგრამ არსებითად არ ვიზიარებთ არც ბოლშევიკების ბრძოლის მეთოდს და მომავლის შენებლობის სისტემას.

მაშ, რა არის ჩვენი მიზანი? ჩვენ გვინდა თანხმობა დავამყაროთ მუშათა ერთ ოჯახში, ვინაიდან მათ ერთი მიზანი აქვთ —შრომის განთავისუფლება და საუკუნოებრივი ბორკილების ერთხელ და სამუდამოდ დამსხვრევა. ამისათვის კი ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია, რათა მალე განთავისუფლდეს მშრომელთა ნაწილი ლაშქარი პოლიტიკური პარტიებისაგან შეთვისებულ ფსომხედველობისაგან და თავის დამოუკიდებელ შემოქმედებაში ეძიებდეს თვისი უწმინდესი მისიის შესრულებას.

და თუ ჩვენცა გვხდა წილად ყრილობაზე წარმომადგენლის გაგზავნა, იგი მიზნად დაისახავს ამ აზრის გატარებას და დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მოწოდებასთან ერთად იგი შეეცდება გადაშალოს მუშათა წარმომადგენლების წინაშე ის აუცილებელი გზა, რომელზედაც უნდა მიდიოდეს მაშვრალი ხალხი საბოლოო თავისუფლების დამყარებისათვის.

## ადამიანის ბედნიერებისათვის

I.

ჩვენი გაზეთის მომავალ ნომერში დაიბეჭდება ჩვენი პროგრამის მთავარი დებულებანი. მათი უმთავრესი, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ლეიტმოტივია ხაზგასმა იმ ფაქტისა, რომ ყოველი ცოცხალი არსი ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები ენერგიით, რაც შეიძლება მეტი სიკეთე მოიპოვოს. ასეთია კანონი სიცოცხლისა, მაგრამ შერყვნილია არსებითად თვით სახე მისი გამოჩინებისა.

მას შემდეგ, რაც პირველყოფილმა კომუნიზმა ადგილი დაუთმო კერძო საკუთრებაზე აგებულ წყობილებას, რაც გაჩნდა უფლებრივი სისტემა და დარღვეული საზოგადოებრივი ექვილიბრიუმის გაბატონებულ კლასების ინტერესების მიხედვით განმამტკიცებელი სახელმწიფო, დაჩაგრული კლასი, მატარებელი შრომის მძიმე პირობებისა, იბრძვის ცხოვრების უფლებისათვის, იბრძვის დატყვევებული შრომის საბოლოო თავისუფლებისათვის და ამ ბრძოლაში სახიერდება უდიდესი მისწრაფება, რათა აღდგენილ და დამტკიცებულ იქნას საზოგადოებრივი ექვილიბრიუმი, არა რომელიმე კლასის ინტერსების სასარგებლოდ, არამედ სრული საზოგადოებრიობის — კომუნიზმის დამყარების სახით.

შეიძლება სხვადასხვა იყო გამოჩინება ამ ბრძოლისა სხვადასხვა ეპოქაში, მაგრამ ერთია მისი მამოძრავებელი და სულის ჩამდგმელი თვისება — შექმნას პირობები, რომელშიაც ადამიანს მინიმუმ ენერგიის დახარჯვით შეეძლება მაქსიმუმ სიკეთის მოპოვება.

მხოლოდ ასეთ მდგომარეობაში შეიძლება, რომ ადამიანის შინაგანმა ბუნებამ, მისმა სულიერმა, მისმა ზემოქმედებამ სავსებით გაშალოს ფრთა და დაეწაფოს ნამდვილ ცხოვრებას, ეზიაროს ჭეშმარიტ ბედნიერებით, გააღრმაოს თავისი მე და გაამრავალფეროვანოს მისი გამოხატულება. ჩვენ გვეუბნებიან დემოკრატიული წესწყობილება მოგვცემს ამის საშუალებას, ყოველ შემთხვევაში იგი შეამზადებს საამისო ნიადაგსო.

შემცდარი და მავნე ცრუმორწმუნოებაა!

დემოკრატიული წესწყობილება, რასაკვირველია უფრო სასურველი, ვიდრე მონარქიულ-ბურჟუაზიული, მაინც არსებითად სრულიად არ ნიშნავს ამ საშუალების მოპოების სიცხადეს.

ძველი ათინა მეოთხე საუკუნეში უაღრესად დემოკრატიული ქვეყანა იყო, მაგრამ ნამდვილად კვლავ „კაპიტალისა“ და „სიტყვის“ მაგნატები ბატონობდნენ; დიდ ძალას წარმოადგენენ ცნობილი ქალები — გეტერები, რომლის წინაშე ძლიერი მართველებიც კი ბავშებივით ხტოდენ, დიდი გავლენა ჰქონდა თვით „მონაძავლობასაც“ კი... ხოლო ის, ვინც შრომის მატარებელი იყო და ჰქონიდა ყოველგვარ ღირებულებას, ცხოვრებას არც თუ ეგრე განებრივებული ჰყავდა... და ათინა ჩაიხრო სოციალურ წინააღმდეგობათა მორევში, რადგან მან ვერ შესძლო სასურველი საზოგადოებრივი აქვილიბრიუმის დამყარება...

დემოკრატიული სახელმწიფოა თითქოს ამერიკაც, ინგლისიც, საფრანგეთიც, მაგრამ ამ ქვეყნებში, შეიძლება ყველაზე მეტად, ბატონობს მეშჩანური სულისკვეთება. დაბალი ბურჟუაზიული დამოკიდებულება პიროვნებისადმი და ვიწრო მეწვრილმანური ანგარიშები. დემოკრატიული ქვეყნების წარმომადგენლებმა დღეს სავაჭრო ქალაქად გადააქციეს რევოლიუციის წითელი ქალაქი პარიზი და აქ ვაჭრობენ ნარდათ, ვაჭრობენ ბითუმად, ვაჭრობენ ხალხთა და პიროვნებათა ბედნიერებით... რასაკვირველია, ამ ვაჭრობაში, მათი „ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივი“ სინიდისი ქეჯნას არ განიცდის, პირიქით ლოღობს და ნავარდობს და თუ იქვე, გვერდით სოციალისტთა კონფერენცია ზოგიერთ სიმართლეს მოაგონებს, მათი სახე მედიდურობის იერს მიიღებს და შავად მოიღრუბლება...

მაგრამ შეიძლება სხვა უფრო დემოკრატიულ სახელმწიფოში იყოს სულ სხვაგვარად დაყენებული საქმე.

საქართველოში დღეს სოციალისტური დამფუძნებელი კრება და მთავრობა გვყავს. შეიძლება ჩვენში მაინც ჰქონდეს შესაფერი იპატივ

ადამიანის პიროვნებას, მის თავისუფლებას, შეიძლება აქ მზადდებოდეს ნიადაგი დიდი ტრანსფორმაციისა? ჩვენდა სამწუხაროდ, ამ კითხვაზედაც უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. ჩვენში ბატონობენ ჯგუფები, რომელნიც სხვა „ბედის ფრინველს“ თავის საბრძანებელში არ გააჭაჭანებენ და თუ ეს „რარა ავის“ (უცხო ფრინველი) მაინც მოხვდა მათ სამფლობელოში, მალე ჩამოჰყრის ფრთებს და სასიკვდილოდ განემზადება.

და ეს ითქმის არა რომელიმე ჯგუფის შესახებ, არამედ საერთოდ ყველაზე, ჩვენში სინიდისიც კი, რომლის განსახიერება მიუდგომელი პრესა უნდა იყოს, ვიწრო ჯგუფური, პარტიულია. აბა სცადეთ, მიმართეთ სიმართლის აღსადგენად ამა თუ იმ ორგანოს, რომლის თანამშრომელმა სრულიად დაუმსახურებლად „ანაზდად“ გესროლათ სიბინძურე! გული მოგიკვდებათ და სული აგიშფოთდებათ, ისეთ პასუხს მოისმენთ. და ეს ხდება სხვათა შორის იმიტომაც, რომ ჩვენში არსებული პოლიტიკურ-სოციალისტური ჯგუფები ყველა ძალაუფლებას ეპოტინება, და მისწრაფებაში ხშირად, „გეშეფტმახერობს“ უსირცხვილოდ, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ყველა ვინც სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდებით მშრომელთ ბედნიერებას ჰპირდება, ამას ანგარებით სჩადიოდეს. სრულებითაც არა! ჩვენ ძლიერ კარგად გვესმის მათი გულწრფელობა და უანგარობა, თუ გნებავთ თავგანწირულებაც, მაგრამ ჯერ ერთი [illegible] თითებზე ჩამოსათვლელია, ხოლო უმრავლესობას „დემოკრატიული“ ფრაზეოლოგია თავის პირად ზრახვათა განსახორციელებლად გაუხდია და გარდა ამისა; ჩვენ შემცდარად მიგვაჩნია საერთოდ ის დებულება, თითქოს კანონდებლობის საშუალებით შეიძლებოდეს „წყეულ კითხვათა“ გადაწყვეტა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საერთოდ მშრომელმა ხალხმა უნდა თავი გაინთავისუფლოს სხვათა მზრუნველობისაგან და მედგრად გასწიოს წინ თვითმოქმედებისა და დამოუკიდებელ მუშაობისაკენ. რომ ბურჟუაზიულ წყობილებაშივე საძირკველი ჩაუყაროს მომავალ თავისუფალ საზოგადოებას. მშრომელმა ხალხმა უნდა დაიბეჯითოს, რომ მას მძიმე, მაგრამ წმინდა მისია აქვს ცხოვრებისაგან დაკისრებული: აღადგინოს დარღვეული საზოგადოებრივი ექვილიბრიუმი კომუნიზმის სახით და შრომის განთავისუფლებით საშუალება მისცეს ადამიანის პიროვნებას ბედნიერებისა და სრულყოფისა...

ანაბაბტისტი.

## ოცი ივნისი.

ოც ივნისს ქ. ტფილისში ბაქოს პროლეტარიატის მოწოდებით მოწვეული იქნება ყრილობა მუშათა დეპუტატების საბჭოების და პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენლებისა. დენიკინის საფრთხე ყველაზე უფრო მძიმედ ადგას მუშათა კლასის წინაშე და მხოლოდ მუშათა კლასი ვალდებულია გასცეს მას სათანადო პასუხი! როგორიც არ უნდა იყოს პროლეტარული ამიერ-კავკასია იგი მოვალეა შეუტიოს იმ მტერს, რომელიც საშინელის სისწრაფით და იარაღის ტრიალით მოეშურება სამხრეთის დემოკრატიულ ფრონტებისაკენ! დღეს ისეთი ვერაგი და გაიძვერა მტერი, როგორიც დენიკინია მუშათა კლასს არ ყავს და არც შეიძლება ეყოლოს მომავალში, მაგრამ ბნელი და უთლელი სალდათი რუსის მეფისა მუშურმა ფრონტმა აქვე უნდა ალაგმოს, და აი ბაქოს პროლეტარიატი უყივის ამიერ-კავკასიის მშრომელ ხალხს, რათა მან რკინეულ მწკრივში პროლეტარიატისა შექმნას ძლიერი და უტეხი ძალა წინაალმდეგ შავი, რეაქციონერ [illegible] ნარქისტ ღენერლის ბრბოისა! მეტად სასიხარულოა შეხვედრა ორი გაყრილი ძმის ბაქოსა და ტფილისელ მუშების, რომელთაც ყოველთვის ერთი ქონდათ ჭირი და ლხენა, და უბედურებამ კარზე მომდგარმა დღესაც შეაერთა ეს ორი განუყრელი მეგობრები! რეაქციის ბნელ სტიქიონის მოახლოვებაში ისახება ეს ერთობა და მთლიანობა მუშათა კლასისა, მაგრამ იგი ძვირფასია და საყვარელი, როგორც სიმბოლო დაახლოვებისა და სამუდამო კავშირის შემქმნელი.

ამიტომაც არ შეგვიძლია მთელის ჩვენის არსებით არ მივესალმოთ მას და არ უსურვოთ ფართედ ფრთების გაშლა, პროლეტარიატისათვის სასურველი მუშაობა და წმინდა მუშურ კლასიურ ინტერესებისათვის თავდადებული და შეუდრეკელი ბრძოლა. მხოლოდ მუშათა კლას შეუძლია გაანთავისუფლოს მუშები, თავის ისტორიულ გაიძვერა მტრებისგან, რომელიც სხვადასხვა სახით ევლინებიან მის ჭირვეულ ცხოვრებიდან გამომდინარე ინტერესებს.

და მუშათა ყრილობამ უნდა ზოგიერთ საჭირბოროტო საკითხებსაც მიაქციოს თავისი ყურადღება, ჩვენ და ბაქო ერთმანერთს სრულებით მოწყვეტილი ვართ თითქმის და აქ უნდა უეჭველად გაიბას ძაფი, რომელიც შეგვაკავშირებს ამ ორ მუშურ ელემენტებს, ესეც არ იყოს, ჩვენ მრავალი სხვა საჭირო საკითხები გვაქვს და არ შევცდებით მგონი თუ ვიტყვით, რომ მუშათა კლასმა ეს საკითხებიც მხედველობაში მიიღოს და აი რატომ, მომავალი მთლიანობა ამიერ-კავკასიის მუშათა კლასისა უეჭველად შორის ამ პერსპექტივებსაც და ჩვენი ვალია ხელი შეუწყოთ ამ დაახლოვებას და კავშირს მუშებისას! დღეს დენიკინი მოგვადგა, მაგრამ თვალს არ უნდა დავხუჭოთ და კარგად გავითვალისწინოთ მსოფლიო რევოლიუციის მშიერი მგლებიც ილესავენ კბილებს და ჩვენი ვალია რევოლიუციის წითელი ალამი დავიცვათ და დავიფაროთ ყველასაგან და [illegible] ბული მადა დღეს მეტად ფხიზლად ადევნებს თვალყურს ჩვენი დაქუცმაცების და დაყოფვის პოლიტიკას და იგი ემზადება რათა ლახვარი ჩასცეს ჩვენს სიცოცხლეს, როგორც კი ამის დროს მოიხელთებს, მეგობრობა დენიკინისა და ბრიგსების უტყუარი საბუთია ამისა, ამიტომაც ყრილობა ამიერ-კავკასიის მუშების არ უნდა დარჩეს მარტო დეკლარაციათა გამოფენათ, არამედ მან უნდა მიიღოს სახე მომწიფებული და სასიცოცხლო ღირსებით აღჭურვილ სახალხო მოღვაწეობის. მაგრამ ყველაზე უწინ ერთი რამ უნდა გადავუშალოთ ჩვენს მუშებს, ვიდრე მუშათა კლასი დარჩება მხოლოდ გარეშე მაყურებლად მთელი მომქმედ პოლიტიკისა, ვიდრე მუშათა კლასს მხოლოდ ხელის უფალნი **საჭიროების დროს** დაუძახებენ და იგი არსებითად არ იქნება დაინტერესებული თავისი ბედის უეჭველად შესაქმნელად—არამედ დარჩება ტყვედ პარტიული თითებისა, ობიექტად „ვერხების“ ჯადოსნურ გონების საგნად სხვისი ნაფიქრალისა და ნააზრევის—ტიტინისა მისი ბედის ხსნა აუცილებლად ამაო იქნება და რაგინდ ძლიერი არ იქნეს მუშათა სტიქია მისი დამარცხება მაინცა და მაინც უეჭველია. ჩვენ დღეს ხომ, მხოლოდ ქარხნის იარაღები ვართ, ქარხნის უბრალო მომაკვდავი „ვინტები“, რომელთაც თუ მოინდომებს რომელიმე ხაზეინი თავის სიმდიდრეს საჭიროების დროს უეჭველად დაუცვლის და თუ ეს ასეა. გარეშე ყოველგვარი „შემარიგებელ კამერებისა“ მუშათა კლასი უნდა ცდილობდეს იგი შეიჭრას წარმოების გულში და როგორც მწარმოებელი სათავეში ჩაუდგეს მრეწველობის არსებობას და ხელთ იგდოს სადავე მისი—აი როგორ გვესმის ჩვენ შრომის განთავისუფლება—უეჭველია ამაზე გვიკიჟინებენ, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ასცდა თუ არა მშრომელი ხალხი, ხალხი ქარხნების და ფაბრიკების, სწორ მიზანს, მისი რევოლიუციონური ცეცხლი განელდა და მისი ძლევამოსილების ნაცვლად, აღიმართა საშიშროება რევოლიუციისა დენიკინების სახით!

რევოლიუცია ხომ არსებითად ქარხნების მაღალ საკომურებთან იწყება?! და თუ იგი დაშორდა მის ჭვარტლიან კედლებს. სალონებში მოკვდება როგორც სასიცოცხლო ნიადაგს მოკლებული, მტკიცება მეტია! და ამიტომაც მუშურმა ყრილობამ მხედველობიდან არ გაუშვას არც ერთი [illegible] გვინდა, პროლეტარული არმია, იცავდეს სისხლით და ოფლით სიდიადეს, სიცოცხლესა და არსებობას სოციალური რევოლიუციის! რომლის ნაღარა უკვე დაკრეს მთელი ქვეყნის მუშებმა. დენიკინი მცირე გორაკია, რომელსაც გადავლახავთ...

ს. კოლხიდელი.

## ამიერ-კავკასიის მუშათა ყრილობა

ამიერ-კავკასიის რევოლიუციონური მუშათა კლასის ყრილობის მოწვევის აუცილებლობა, თვით თანამედროვე ამიერ-კავკასიის მდგომარეობით არის ნაკარნახევი. მოსალოდნელი დენიკინის რეაქცია, რომელიც ემზადება ამიერ-კავკასიის გასანადგურებლად.

შავი რეაქცია ამიერ-კავკასიაში დაარსებულ სახელმწიფოებთან ერთად გაანადგურებს იმ ჩანასახს თავისუფლების, რომელიც მოიპოვა ამიერ-კავკასიის დემოკრატიამ. კიდევ მეტი, დენიკინის გამარჯვება ეს იქნება მუშათა კლასში რევოლიუციონურ სულისკვეთების აღმოფხვრა, ეს იქნება რევოლიუციის მიერ მოპოვებულ თავისუფლების გაღრმავების და განვითარების ნაცვლად, მოსპობა-განადგურება. ასეთი უფსკრულის წინაშე მდგარმა ამიერ-კავკასიის მუშათა კლასმა უნდა მოსძებნოს საერთო ენა. რეაქცია, როგორც მოსალოდნელი იყო მოდის მარჯვნიდან დენიკინი ნამდვილი წარმომადგენელია დრო მოჭმული ბურჟუაზიისა. ბურჟუაზიის წინაალმდეგ საბრძოლველად არაა საჭირო ვეშაპებთან შეერთება, არამედ საჭიროა სხვადასხვა ერის მუშათა კლასთან. ამ მხრივ დიდათ საყურადღებოა განზრახული მუშათა ყრილობა. მან უნდა შეაკავშიროს ამიერ-კავკასიის მუშათა კლასი დენიკინის გასანადგურებლად.

მან სამუდამოდ უნდა მოსპოს შავრაზმელთა ბუდე. დენიკინთან ერთად უნდა გაქრეს ის შავრაზმული ბურჟუაზია, რომელიც გამეფებული არის ჩვენში. ჩვენ ვიცით საერთო ენა საერთაშორისო ბურჟუაზიისა, ეს არის რევოლიუციის განადგურება. ამ ენის საწინაალმდეგო ენაა საერთაშორისო პროლეტარიატისა რევოლიუციის დაცვა და გაღრმავება.

ამ ენის გარშემო უნდა შემოკრბეს ამიერ-კავკასიის მუშათა კლასი.

## ჩვენი წარმოშობის მოკლე ისტორია.

როდესაც თავისუფლების უაღრესად მოყვარული ქართველი ხალხი, 30 საუკუნის განმავლობაში განუწყვეტელ ბრძოლით მოქანცული, ნებაყოფლობით შეუერთდა რუსეთს, და მერე კი, ასი წლის გასვლის შემდეგაც ველარ მოიხსნა ტანჯვისა და მონობის უღელი; როდესაც ქართველმა თავად-აზნაურობამ ეს მონობის ხანა ასი წლის საიუბილეო დღესასწაულით აღნიშნა და რუსეთის სამეფო ტახტს ქართველი ერის დაუკითხავად მისი სახელით შემდეგისათვისაც ერთგულებაზე შეჰფიცა; როდესაც ჩვენმა მაშინდელმა სოციალ-დემოკრატებმა ალღო ვერ აუღეს ქართველი ხალხის სულისკვეთებას და საჭიროებას და მრუდე გზით მიღვაწეობდნენ, აშკარა შეიქნა საჭიროება ისეთი პარტიისა, რომელიც საქართველოს აშვრალსა და ტამჯულ ხალხს ამოუდგებოდა მხარში და ბრძოლით მოაპოვებინებდა როგორც პოლიტიკურ და ეროვნულ, აგრეთვე ეკონომიურ თავისუფლებას, თანასწორობას და ერთობას.

ამ მიზნით დაარსდა და ამ დევიზით გამოვიდა 1904 წელს ის პარტია, რომელსაც ჩვენ გამოვეყავით. ფედერატიულ სახელმწიფოს, თავისუფალ შვეიცარიის დედა ქალაქ ჟენევაში მომხდარ კონგრესზე, ქართველ რევოლიუციონურ ჯგუფთა წარმომადგენლებმა, რომელთა შორის უძლიერესნი აღმოჩნდნენ უკიდურესი მემარცხენენი, ჩამოაყალიბეს ამ პარტიის რწმენა-მცნებანი და ჩაუყარეს საძირკველი; მისცეს მას გეზი მოქმედებისა და თვითონაც უმალ მოაშურეს სამშობლოში მშობელ ერში ამ იდეების გასავრცელებლად და სარევოლიუციო კოცონის დასანთებად.

ფრიად ნარეკლიანი იყო მათი მოქმედების ასპარეზი ყოველი მხრივ, მაგრამ თავგამოდებულმა მუშაობამ პატარა ჯგუფისამ მაინც შესძლო გზა გაეკვლია და ნაყოფი გამოეღო. ეს პარტია პირველსავე დღიდან ორი სარევოლიუციო დროშით გამოვიდა: ეროვნულით და სოციალისტურით. ამიტომ შემადგენლობა და ხალხი, რომელიც ამ პარტიას მიემხრო, იმ თავითვე ორი ჯურისა და რწმენისა იყო. ერთნი და უმრავლესობა იყვნენ ისეთნი, ვისაც უმთავრესად ან მარტო ეროვნული საკითხი აინტერესებდათ და სწამდათ, მეორენი კი, თუმცა აღიარებდნენ ეროვნულ განთავისუფლების აუცილებელ საჭიროებას, მაგრამ ეს მათთვის საშუალება იყო სოციალისტურ იდეების გზის გასაკაფად და არა მიზანი, როგორც პირველთათვის. უმთავრესად კი, ესენი მუშათა საკითხებს—მაშვრალი ხალხის სანეტარო მომავლის თავისუფალ კომუნისტურ სოციალიზმისთვის იბრძოდენ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როდესაც 1906 წ. მოხდა მეორე კონფერენცია ამ პარტიისა, რომელზედაც ნაციონალისტების ჯგუფის მიერ წარმოდგენილ იქნა პროგრამის პროექტი, მათი სულისკვეთების გამომხატველი. უკიდურეს მემარცხენე სოციალისტების ჯგუფი უფრო ძლიერი და მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა და ამ კოჭლ პროექტს მეორე ფეხიც მოსტეხეს და მომტანთ დაუბრუნეს დაწუნებული. სამაგიეროდ კი კონფერენციამ აირჩია 6 პირისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა ახალი პროექტის შედგენა და მომავალ მესამე კონფერენციაზე წარმოდგენა გასარჩევად და დასამტკიცებლად. კომისიაც შეიკრიბა, მაგრამ მუშაობის დაწყებისათანავე ამ მცირე რიცხვშიაც თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ, რის გამოც კომისია გაიყო ორად. ორმა წევრმა იკისრეს და შეადგინეს ეგრედ წოდებული პროგრამის პირველი პროექტი, მხოლოდ 4-მა კი მეორე პროექტი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პირველის ავტორები დაეყრდნენ ისევ დაწუნებულ პროექტის დედა აზრებს და საფუძვლებს, მხოლოდ მეორის ავტორებმა კი განავითარეს ჟენევის კონგრესის მიერ მიღებული რეზოლიუციები და პრინციპები. ეს ორთავე პროექტი დაიბეჭდა ხელთნაწერის უფლებით და დაურიგდათ ორგანიზაციებს; თუმცა უნდა სიმართლე ითქვას, რომ არა თანაბარ გულმოდგინებით და აგიტაციაც პარტიის ხელმძღვანელ ორგანოს მიერ მხოლოდ პირველის სასარგებლოდ სწარმოებდა. შემდეგ, 1907 წელს უსაშინლეს რეაქციის ხანაში მოწვეულ იქმნა მესამე კონფერენცია და დელეგატებს იმპერატიული მანდატებით [illegible] მხოლოდ.

ამ საშუალებით პარტიის ხელმძღვანელმა ორგანომ მიაღწია იმას, რომ კონფერენციაზე მანდატების უმრავლესობა აღმოჩნდა პირველი პროექტის მომხრე, რითაც მეორე პროექტის ბედი წინათვე და განუხილველად გადაწყვეტილად უნდა ჩათვლილიყო. ამას დაემატა სამწუხაროდ ისიც, რომ მეორე პროექტის ავტორნი და მომხრენი ამ დროისთვის მთავრობის მიერ სასტიკად დევნილი უკვე გაფანტული აღმოჩნდნენ და მაშასადამე მონაწილეობის მიღებასაც კონფერენციაზე ვერ მოახერხებდნენ. მხოლოდ როდესაც კონფერენციის უმრავლესობის მიერ პირველი პროექტი ცოტაოდენი შესწორება-შემოკლებით მიღებულ და აღიარებულ იქმნა პარტიულ დამტკიცებულ პროგრამად., მეორე პროექტის მომხრეთ, უმცირესობამ, შესაძლებლად ვერ სცნეს ვერც ღალატი თავიანთ პრინციპებისა და ველარც დარჩენა პარტიაში, ამიტომ წარუდგინა რა ამის შესახებ დასაბუთებული რეზოლიუცია კონფერენციას, გავიდნენ პარტიიდან დამოუკიდებლადსაიუდამოდ ამ მეორე პროგრამის პროექტით სწორედ იმ ნიადაგზე, რომელზედაც ეხლა ჩვენ, რევოლიუციონური სინდიკალისტები, დავდექით.

მაგრამ რაკი მაშინდელმა გამძვინვარებულმა რეაქციამ თითქმის ყველა პარტიის მუშაობა შეანელა და შესწყვიტა, რაკი ჩვენი მაშინდელი ამხანაგები, როგორც ყველაზე უკიდურესნი მთავრობის მიერ დაჭერილ, დასჯილ და დაფანტული შეიქნენ, რასაკვირველია ამ ნიადაგზე მუშაობაც შესწყდა დროებით.

ყველაზე საინტერესო და ღირსშესანიშნავი კიდევ ის სოცარი მოვლენაა, რომ თვით, აწ განსვენებული, არჩილ ჯორჯაძე, ეს დამარსებელი და მამათმთავარი ამ პარტიისა, რომელიც ვერც მეორეს და ვერც მესამე კონფერენციას პირადად ვერ დაესწრო ავადმყოფობის გამო, თავის ნაწერებში: „ძველი და ახალი“ და „სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში“ს, ასტიკად ილაშქრებს პირველი პროექტის წინაალმდეგ, შეუბრალებლად აკრიტიკებს მას, უწუნებს სოციალიზმს, ფედერალიზმს, რევოლიუციონიზმს და ორგანიზაციას ამ პარტიას—სამაგიეროთ იწონებს და თითქმის თავიდან ბოლომდის იცავს მეორე პროექტს, რომელიც მათ თითქმის განუხილველად უარჰყვეს. ამ ზემოაღნიშნულ თავის წიგნებში არჩილი, სცნობს რა ეროვნულ თავისუფლების აუცილებელ საჭიროებას, ილაშქრებს როგორც პოლიტიკურ, აგრეთვე ეკონომიურ ცენტრალიზმის წინაალმდეგ და აღიარებს დეცენტრალიზმს და ფედერალიზმს, უარჰყოფს სახელმწიფოს, პარლამენტს და პარლამენტის საშუალებით მუშათა ინტერესების დაცვას და აღიარებს ამისთვის რევოლიუციონურ სინდიკალიზმის გზით პირდაპირ აქტიურ მოქმედებას. მაგრამ ყოველი კაი თესლი განა ყოველ ნიადაგზე ამოვა, ხშირად ხომ კარგ მამას ურჩი შვილები გამოეზრდება ხოლმე.

ასეც დაემართა არჩილს. მისმა

მან უნდა აიღოს ძალა-უფლება ხელში და დენიკინთან ერთად უნდა მოსპოს და გარდაქმნას ხავსმოკიდებული და ცხოვრებიდან ჩამორჩენილი ბურჟუაზიული რეჟიმი, ასე რთულია დანიშნულება მუშათა ყრილობისა. ის თავის მისიას პირნათლად შეასრულებს, თუ მავნე მრჩევლებმა გზას ვერ ააცდინეს. ვუსურვებთ გამარჯვებას ამიერ-კავკასიის რევოლიუციონურ მუშათა კლასის ყრილობას.

პლ. ოტიასძე.

# ფედერალისტური დისციპლინა.

თანამედროვე რევოლიუციამ ბევრი რამ ახალი აღმოაჩინა, ბევრ ადამიანთა აზროვნებაში რევოლიუცია მოხდა, მაგრამ იმდენი არევ-დარევა, რაც ფედერალისტთა ბანაკში მოხდა რევოლიუციის დროს, იმდენი ტრანსფორმაცია, რასაც ეს მრავალფეროვანი პარტია განიცდის თავის უკუღმართ ცხოვრებაში, მგონი არსად მომხდარა და ამ მხრივ ეს პარტია მიკროსკოპიულ ცხოველებსაც უსწრებს წინ თავის მეტამარფოზებში.

რაც რევოლიუციი მოხდა რუსეთში ორ წელზე მეტია და შინაარსი რევოლიციის კი ფედერალისტებისათვის ჯერ კიდევ გამოურკვეველია, თვით არ იცის ამ პარტიამ რა არის ეს რევოლიუცია, არის ის მხოლოდ პოლიტიკურ-ბურჟუაზიული რევოლიუცია თუ ეს დასაწყისია მსოფლიო სოციალურ რევოლიუციისა. მივიღოთ მხედველობაში, რომ რევოლიუციის პირველ დღეებში ეროვნული საკითხი ვერ იყო სასურველ ნიადაგზე დაყენებული. და მათი ძალაც ამისკენ იყო მიქცეული და რევოლიუციის შინაარსის გამოკვლევის დრო არ ჰქონდათ, მაგრამ ეხლა? ეროვნული საკითხი ხომ მორჩა დადებითათ. ეხლა მაინც რაღა უშლიდა ამ გამოურკვეველ საკითხის შესწავლას და გაგებას? აი რა. ეს პარტია შესდგებოდა მუშებისაგან და ინტელიგენტებისაგან.

პირველთა აზრით ეს რევოლიუცია ამონახეთქი იყო მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციისა, მეორეთა აზრით კი დიდი პოლიტიკური რევოლიუცია. ამ ნიადაგზე პარტიაში თავიდანვე აღმოცენდა უთანხმოება და ამის მიზეზი იყო გაჩენა პარტიაში ,,მუშათა კავშირებისა'' ვის მოსწრია, რომ სოციალისტურ პარტიაში მუშათა კავშირები არსებულიყოს, მაგრამ ამ პარტიისათვის ყველაფერი მოსათმენი იყო. ამ ორჭოფობამ პარტია ორად გაყო და ნამდვილი მუშები ჩამოსცილდნენ, ასე რომ დარჩა გენერლები უჯაროთ და ყოველ გენერალს თავისი სტრატეგიული მოსაზრებანი ქონდა. ვერც ამან დაამყარა პარტიაში ერთსულოვნობა, ზოგი მაქსიმალისტი იყო, ზოგი მინიმალისტი და ვინ იცის რა არ იყო.

პარტიაში დარჩენილი ოპოზიციის ,,ოპოზიცია'' სანამ მის უდღეურ გაზ. ,,სოციალისტ ფედერალისტ'' სული ედგა გაიძახოდა ,,გაუმარჯოს სოციალურ რევოლიუციასო'', უფრო ,,დინჯი'' ფედერალისტები არ იყვნენ ამით კმაყოფილი, მაგრამ რა ექნათ.

ვის არ ახსოვს ქალაქის საბჭოში მომხდარი უთანხმოება, ის რაც თედო ღლონტისაგან წარმოითქმება სხვა ფედერალისტებისათვის არ არის მისაღები და სხვა. მერმეთ კიდევ სანამ მათი ამხანაგები მინისტრათ იყვნენ, მანამ პარლამენტში მთავრობას ედგნენ გვერდში და ეხლა როდესაც ,,ოსტავკა'' მისცეს სულ მარცხნით დასკუპდნენ და აი არიქა ჩვენ ვართ ოპოზიციონერებიო, მაგრამ გვეღის არ იყოს შეიძლება ადამიანმა ტყავი, ენა გამოიცვალოო, აგრამ გული ისევ ის დაგრჩება რაც გქონდა.

ამის საუკეთესო მაჩვენებელია გასულ კვირას მომხდარი კრება მუშტაიდში, სადაც პარტიის პასუხის მგებელმა ორატორმა ბ-ნმა აკაკი პაპავამ ხალხს გულწრფელათ გადაუშალა ფედერალისტური შეხედულება თანამედროვე მომენტზე. მაშინ როდესაც მისი ზოგიერთი ამხანაგები სოციალურ რევოლიუციის „ცეცხლის“ დანთებას აპირობენ, ამ დროს კი ბ. პაპავა მთელ თავის ძალას ანდომებს მთავრობის და ჩვენი დიპლომატიის ქება-დიდებას. მაშინ როდესაც ბ. თედო ღლონტი „ბოლშევიკობს“, ამ დროს პაპავა მათ ბრძოლას სოციალურ ექსპერიმენტებს ეძახის და ავანტიურისტებსაც კი.

ამ დალოცვილი ორატორის სიტყვით, თურმე ბოლშევიკები რევოლიუციის „სტრელკას მარცხნით მ[illegible] წვენ და მარჯვნით გაექცათ, [illegible] მაგრამ საინტერესოა ვიცოდეთ ეს გაქცევა რისთვის თედო ღლონტისათვის არ მოხდა. ისიც ხომ ფედერალისტია. ჩვენ ვიტყვით, თუ წარმოვიდგენთ და ვიტყვით, რომ ბოლშევიკებს რევოლიუციის „სტრელკა“ მარცხნის მაგივრათ მარჯვნით გაექცათ და ამიტომ უნდა ვებრძოლოთ, მაშინ დენიკინი ალბათ მარჯვნით მისწოლია ამ საბედისწერო „სტრელკას“ და მარცხნით გაქცევია, თორემ ორივეს რომ მარჯვნით გაქცევოდათ, მაშინ ხომ მათ შორის ბრძოლა აღარ იქნებოდა. ჩვენ სრულიად დაგვილოცნია ფედერალისტებისათვის დენიკენის მემარჯვენეობა.

თვით ეს ომი დენიკინთან მთავრობის პარტიამ რ. არსენიძის პირით აღიარა არა მარტო ტერიტორიალურ ეროვნულ ომათ, არამედ კლასობრივ ომათაც. ამ დროს კი „ოპოზიციონური'' პარტიის წარმომადგენელი თავის ცხვირის იქით ვერ იყურება და ნამდვილ კლასობრივ მებრძოლებს ბოლშევიკებს ავანტიურისტებს უწოდებს, გასაკვირალი არის ის, რომ, რა უფლება აქვს ამ პარტიას, რომელსაც ასეთი პაპავები მრავლათ ყავს ოპოზიცია აწარმოვოს ყოველ შემთხვევაში გულწრფელათ შემცდარ სოციალისტურ პარტიის წინააღმდეგ ჩვენს პარლამენტში ისიც მარცხნიდან.

ჩვენი აზრით ფედერალისტებს რამდენი ლიდერიც ყავთ იმდენი პარტია აქვთ, ასეთია მოკლეთ ფედერალისტური დისციპლინა არა თუ შიგნით არამედ გარეთაც.

დათიკო ვ.

---

პარტიამ, არამც თუ არ დაუჯერა მასწავლებელს და არ შეასწორა მისგან გაკრიტიკებული და დაწუნებული 1907 წ. პროგრამა, პირიქით თანდათან უფრო გაამემარჯვენევა და დაამახინჯა; მთელი თავისი ცოდნა და ენერგია მარტო პოლიტიკურ მხარეს შეალია, მხოლოდ რაც შეეხება ეკონომიურს: სოფლისა და ქალაქის მაშვრალი ხალხის, მუშათა ინტერესებს და ორგანიზაციებს, რაიცა სოციალისტებისათვის პირველ საზრუნავს უნდა შეადგენდეს, ძალიან ნაკლები, ყურადღება ჰქონდა მიქცეული. ეს კი ყოველთვის უკმაყოფილებას და სამართლიან გულისწყრომას იწვევდა პარტიის მუშათა ნაწილში, მაგრამ მაინც ითმენდნენ ეროვნულ საკითხის გადაწყვეტადეგვირგვინებამდი. დღეს კი, როდესაც ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია ასე თუ ისე და პოლიტიკური თავისუფლება მოპოვებულია, როდესაც რუსეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებშიაც სოციალური რევოლიუციის ცეცხლის ალი მოდებულია და დანაცრებას უპირებს იმპერიალისტებს და კაპიტალისტებს და ამოდის მშრომელი ხალხის ცისკარი, მომასწავებელი მისთვისაც მზიანი დღის გათენებისა, მეტის მოთმენა მუშებისათვის შეუძლებელი შეიქნა, ისედაც გამემარჯვენევებულ 1907 წ. მიღებულ პროგრამის შემდეგ კონფერენციებზე დამახინჯება და პარტიის მმართველთა საქციელის ატანა მოუხერხებელი გახდა.

დიდი ხნის გამოცდილება-დაკვირვებამ მუშები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მუშათა განთავისუფლება შეიძლება მოხდეს მხოლოდ თვით მუშებისავე პირდაპირი აქტიური ბრძოლით და არა რომელიმე პოლიტიკურ ცხრაწვენა და ათასჯურა ხალხისა და კლასების პოლიტიკურ პარტიებში ყოფნით და მათთან ერთად არჩევნებით და „კენჭაობიას“ თამაშობით. დაუკვირდნენ რა სხვა რევოლიუციონურ ქვეყნების მუშათა თავგამოდებულ ბრძოლას ბრწყინვალე მომავლისათვის, ჩვენმა შეგნებულმა ამხანაგმა მუშებმა და მათთან ერთად მცირე ჯგუფმა, თავგანწირულ ინტელიგენტებმა, სთქვეს: თუ შვილნი ვართ მაშვრალ ხალხის მთელი ქვეყნისა უნდა კიდევაც მივბაძოთ მას და შევიტანოთ ჩვენი წვლილიც მსოფლიო პროლეტარიატის ბრძოლაშიო. ამიტომ ჩვენ გვმართებს ჩამოშორება ყოველგვარ პოლიტიკურ პარტიებიდან და ჩამოყალიბება წმინდა მუშათა კლასიურ ორგანიზაციებში— პროფესიონალურ სინდიკატებში, სადაც უნდა დავირაზმნეთ, ცოდნის, შრომის და ბრძოლის ბასრი იარაღი ავისხათ, შემოვიერთოთ სხვა პარტიებში დაფანტული ამხანაგებიც და ასეთი შეერთებულის მედგარი ძალით ჩვენც ყიჟინა დავცეთ ქვეყნიერების მტარვალთა და მჩაგვრელთ.

აი ამ დიადი მიზნით და არა რაიმე თავმოყვარეობით და ანგარებით დავტოვეთ ჩვენი დედა პარტია, როგორც გმირი კიაზო სტოვებს თავის სულთმობრძავ დედას სასიკვდილო სარეცელზე უპატრონოდ მოხოლოდ იმიტომ, რომ მებრძოლ ამხანაგებს მიეშველოს ძვირფასი თავისუფლების მოსაპოვებლად. ამ მიზნით ავირჩიეთ ჩვენ რევოლიუციონური სინდიკალიზმის გზა, რომელიც პირველადვე ნაჩვენები და ნარჩევი იყო ჟენევის კონგრესზედვე ჩვენი დედა პარტიისთვის, რომელი გზითაც მოღვაწეობდნენ ჩვენში ზოგიერთი ჩვენ ძველი ამხანაგი, ვიდრე 1907 წელს ჩამოშორდებოდნენ პარტიას. ასე რომ, თუმცა ჩვენ დღეს ვყალიბდებით ამ გზაზე. მაგრამ ჩვენ ვართ აღმოცენებულნი იმ თესლზე და ხნულზე, რომელიც გაავლეს ჩვენმა ძველმა ამხანაგებმა და რომელიც მოგვიწონა და გვიკარნახა თვით არჩილ ჯიჯაძემაც ისევ 1907 წლამდე.

იმავე ჩვენმა ძველმა ამხანაგებმა დაგვიტოვეს ლიტერატურული საზრდო მეორე პროექტის სახით, სადაც საკმაოდ ვრცლად და კარგად გარკვეულია, როგორც ჩვენი იდეალი და პრინციპები, აგრეთვე ჩვენი სოფლმხედველობის საფუძველი და ტაქტიკა. ვურდგენ რა ამ პროექტს, ჩვენი კონფერენციის მიერ არჩეულ საპროგრამო კომისიას, ვთხოვ მიიღოს იხიც სახელმძღვანელო მასალად პროგრამის პროექტის შესადგენად, რომ რაც შეიძლება ჩქარა ავაფრიალოთ ჩვენი მრავალტანჯული მებრძოლი დროშა, მოუწოდოთ ამხანაგებს შემოკრბენ მის გარშემო და შრომით და ბრძოლით მოუპოვოთ მრავალ საუკუნოებით მრავალ მტრისგან მრავალტანჯულ მაშვრალ ხალხს და კაცობრიობას თავისუფლება და ბედნიერება.

ძველი და ახალი საპროგრამო კომისიის წევრი **გოგია მაშვრმლი.**

---

# ჩვენი კონფერენცია.

**სახელწოდების შესახებ.**

კონფერენციამ დაადგინა: საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედერ: მაშვრალთა პარტიის მაგიერ, პარტიის ეწოდა შემდეგ სახელწოდება: საქარ. რევოლიუც. სინდიკ. მაშვრალთა კავშირი.

**წესდების შესახებ.**

კონფერენციამ მოისმინა მოხსენება ის. ვარაზაშვილისა კავშირის წესდების თაობაზე და ხანგრძლივი კამათის შემდეგ დაადგინა: ვარაზაშვილის მიერ წარმოდგენილი პროექტი წესდებისა გადაეცეს პროგრამის შემმუშავებელ კომისიას შესასწორებლად და ეს პროექტი გამოცემულ იქნეს დროებითი წესდების სახით მომავალ კონფერენციამდის.

**ტაქტიკასა და მომენტზე.**

1) ჩვენ ვაღიარებთ, რომ სახელმწიფო მთელი თავისი აპარატით ყოველთვის და ყოველგან კლასთა შორის წინააღმდეგობის გამამტკიცებელია, და ამიტომ ყოველგვარი სახის დიქტატურა, ვისგანაც იგი არ უნდა გამოდიოდეს, მიუღებელია.

2) რომ მუშათა კანონმდებლობისა და რეფორმების საშუალებით მაშვრალთა მდგომარეობის გაუმჯობესობა და შრომის საბოლოო განთავისუფლება მავნე ცრუმორწმუნეობაა.

3) ამიტომ ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია დღესვე თავგანწირულად შევუდგეთ ქალაქისა და სოფლის მაშვრალთა კავშირების დაარსებას და მათ სახელმწიფოს დაწესებულებათა გარეშე ამოქმედებას. ამგვარად წარმოშობილი ჩვენი ქვეყნის შრომის ფედერაცია უნდა დაუკავშიროთ საერთაშორისო შრომის კავშირს.

4) ჩვენ ვეცდებით, რომ გადალახულ იქნას ის დაბრკოლებანი და წინააღმდეგობანი, რომელნიც ხელს უშლიან ჩვენში დამოუკიდებელ მუშათა მოძრაობას.

3) წარმოების მოწესრიგებისათვის ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ქალაქად საწარმოო დაწესებულებათა მუშათა კავშირების ხელში გადაცემა, ხოლო სოფლად მიწისა და მისი მეურნეობის სოფლის საბჭოების მეოხებით საზოგადოებრივ ნიადაგზე მოწყობა.

6) ჩვენ კარგად გვესმის, თუ როგორ ობიექტიურ პირობებში გვიხდება მუშაობა. დღეს ქართველმა მშრომელმა ხალხმა ეროვნული თავისუფლება მოიპოვა. ეს თავისუფლება მას საშუალებას აძლევს გააძლიეროს კლასთა შორის ბრძოლა და დიდი გარდაქმნის განხორციელებაზე იზრუნოს.

7) ამიტომ, ვაწარმოებთ რა 1, 2, 3, 4 და 5 მუხლებში აღნიშნული სახის ორგანიზაციულ მუშაობას, ვიზრუნებთ, რომ ჩვენმა მოქმედებამ არ ავნოს ეროვნულ თავისუფლებას ხელი არ შეუშალოს ჩვენ ჯგუფის მიერ დასახულ მიზნის განხორციელებას,

8) ამ მოსაზრებით გავავრცელებთ რა მუშათა შორის იმ აზრს, რომ კანონმდებლობის საშუალებით შრომის განთავისუფლება მაშვრალთა საზიზღარი მოტყუილებაა, ჩვენ ვერ დავადგებით იმ ავანტიურისტულ გზას, რომ დღესვე მოუწოდოთ მშრომელთ იარაღით ხელში სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოსვლას.

9) ჩვენ უმთავრეს ენერგიულ მუშაობას ადგილი უნდა ექნეს მუშათა პროფესიონალურ კავშირებში, რათა მათი ეკონომიური ინტერესების დაცვასთან ერთად, მათ მიერ გათვალისწინებულ იქნას მათი არსებითი და უახლოესი დანიშნულება — შრომის ფედერაციის დაარსებისა და მისი მეოხებით საუკუნოებითი მონობის დამსხვრევის[illegible]

10) [illegible] რევოლიუციის ხანაში ვცხოვრობთ, საჭიროა გამოვარკვიოთ ჩვენი დამოკიდებულება არსებულ სოციალისტურ პარტიებთან. ჩვენი პრინციპებიდან ნათლად გამომდინარეობს საერთოდ ის დებულება, რომ ჩვენ საერთო არა გვაქვს რა იმ პარტიებთან, რომელნიც სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდებას ლამობენ და შემდეგ კანონმდებლობის მეოხებით დიდი ტრანსფორმაციის მოხდენას ესწრაფვიან.

11) ჩვენი დამოკიდებულება იმ მინიმალისტ სოციალისტურ პარტიებთან, რომელნიც თანამედროვე რევოლიუციას ბურჟუაზიულ-პოლიტიკურ მოვლენად სდვლიან, განსაკუთრებით უარყოფითია.

12) ჩვენ შეიძლება მეტი ერთობა გვქონდეს იმ მაქსიმალისტ სოციალისტურ პარტიებთან, რომელნიც ხაზგასმით აღიარებენ დღევანდელი რევოლიუციის სოციალურ ხასიათს და ეწევიან წმინდა რევოლიუციონურ მოქმედებას და არა ბურჟუაზიულ მეშჩანურ შემოქმედებას.

13) ჩვენ შეგვიძლია ხსენებულ მაქსიმალისტ-სოციალისტურ პარტიებთან ერთად ვიაროთ რევოლიუციის გაძლიერებისა და გაღრმავების ფარგალში და მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვების მოწესრიგებაში.

14) ხოლო აქვე უნდა განვაცხადოთ, რაკი ეს პარტიები განიზრახავენ ერთი სახელმწიფოს ფორმის მეორეთი შეცვლას და ან დიქტატურის დაწესებას, ჩვენი გზები მსწრაფლ ერთი მეორეს განშორდებიან და ჩვენ შევებრძოლებით რა [illegible] ასეთ ტენდენციას, მთელ ძალღონეს შევსწირავთ ჩვენი მთავარი პრინციპის განხორციელებას: მუშათა თავისუფალ ამხანაგობათა საერთაშორისო ფედერაციის საშუალებით ყოველგვარ სახელმწიფოებრივ სახეს მოკლებულ თავისუფალ კომუნათა დაარსებას.

---

# წესდების პროექტი *)

საქართ. რევოლ. სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირისა.

**I. კავშირის მიზანი.**

§ 1. მაშვრალთა კავშირის მიზანია მოამზადოს ქალაქისა და სოფლის მუშა ხალხი ეკონომიური მონობისაგან განთავისუფლებისა და სოციალისტური წყობილების დამყარებისათვის. ამისათვის კავშირი ეცდება შექმნას მუშათა დამოუკიდებელი სინდიკატები და ასოციაციები, როგორც სოფლად, ისე ქალაქად და შეაკავშიროს ისინი ერთ მთლიან ფედერაციაში. კავშირი ეცდება დააყენოს მუშათა ფედერაცია პოლიტიკურ ძალა-უფლებისათვის ბრძოლის გარეშე და წმინდა რევოლიუციონური გზით მოსპოს ის დაბრკოლებანი და წინააღმდეგობანი, რომელნიც ხელს უშლიან სინდიკატების განვითარებას და ცხოვრების რადიკალურად გარდაქმნას.

ამასთანავე კავშირი მიზნად ისახავს დაეხმაროს მუშებს საწარმოო ამხანაგობათა მოწყობის საქმეში და შექმნას ისეთი ეკონომიური ორგანიზაციები, რომლებზედაც უნდა დაეყრდნოს მომავალი სოციალისტური წყობილება.

**II. კავშირის წევრობა და მოვალეობა.**

§ 2. კავშირის წევრად ითვლება ყოველი მოქალაქე, ქალი თუ კაცი, არა უმცირეს 16 წლისა, რომელიც იზიარებს კავშირის მთავარ პრინციპებს და პროგრამას და ადასტურებს

პრაქტიკულ მუშაობას სინდიკალიზმის სასარგებლოდ.

წევრად მიღება ხდება ადგილობრივ ორგანიზაციის საერთო კრების მიერ სადაც ასეთი ორგანიზაცია არ არის, წევრების მიღება და ჩაწერა შეუძლია კავშირის იმ წევრს, რომელიც საორგანიზაციო მუშაობას ეწევა.

§ 3 ყოველი წევრი კავშირისა ვალდებულია შეასრულოს კავშირის ორგანიზაციის დავალება. მას ნება არა აქვს საპატიო მიზეზს გარეშე, უარი სთქვას რაიმე თანამდებობაზე, რომელსაც მას ორგანიზაცია არჩევით დააკისრებს.

რომელიმე წევრის კავშირიდან გამორიცხვა ანუ განდევნა დამოკიდებულია მხოლოდ სათანადო ორგანიზაციის საერთო კრებაზე.

## III. კავშირის საშუალებანი.

§ 4. ადგილობრივი ორგანიზაციის საშუალებას შეადგენენ თავისუფალი საწევრო გადასახადი, შემოწირულებანი და სხვადასხვა საშუალებით შეკრებილი თანხები.

ადგილობრივი ორგანიზაციები სარაიონო კავშირის გამგეობის შესანახად იხდიან თავის შემოსავლის მეოთხედს. სარაიონო კავშირები აძლევენ მთავარ გამგეობას მთელი შემოსავლის ერ მეოთხედს.

§ 5. ყოველი ორგანიზაცია ვალდებულია გამოაცხადოს წევრთა საყურადღებოდ თავისი შემოსავალ-გასავლის ანგარიში: ადგილობრივმა—თვეში ერთხელ; სარაიონომ—ექვს თვეში ერთხელ, ხოლო მთავარმა გამგეობამ—წელიწადში ერთხელ.

## IV. ადგილობრივი ორგანიზაციები

§ 6. ყველა სოფელში, დაბაში და ქალაქად, სადაც კი არის კავშირის რამდენიმე წევრი მაინც, არსდება ადგილობრივი წრე—ორგანიზაცია.

§ 7 ადგილობრივი წრე არის კავშირის ძირითადი ორგანიზაცია და იმაზეა დაყრდნობილი კავშირის მთელი მუშაობა.

ადგილობრივი ორგანიზაციის ყველა საქმეს უძღვება წევრთა საზოგადო კრება, რომელიც იკრიბება საჭიროების დროს, მაგრამ არა ნაკლება ერთი ჯერისა კვირაში და კანონიერად ითვლება, თუ წევრთა საერთო რიცხვის ნახევარი მაინც დაესწრო.

§ 8. ორგანიზაცია ირჩევს ხელმძღვანელ ორგანოს, რომელიც უძღვება ორგანიზაციის მუშაობას და სწყვეტს საჩქარო მიმდინარე საქმეებს.

§ 9. საერთო კრებას ყოველ დროს შეუძლია არჩეული პირების გამოცვლა.

## V. სარაიონო და საქალაქო საბჭოები.

§ 10. ყველა ადგილობრივი ორგანიზაცია ამა თუ იმ რაიონში, ან ქალაქში შედიან სარაიონო, ან საქალაქო კავშირში და ადგენენ შესაფერ საბჭოებს.

§ 11. სარაიონო ან საქალაქო კავშირის ხელმძღვანელი* ორგანო საბჭოა, რომელიც შესდგება ორგანიზაციათა თითო წარმომადგენლისაგან. იგი განაგებს კავშირის ყველა საერთო საქმეს, რომელნიც ადგილობრივი ორგანიზაციების ფუნქციებს არ შეადგენენ.

§ 12. საბჭო ირჩევს ერთი წლით: ა) კავშირის გამგეობას ხუთი წევრისაგან და ბ) ერთ მუდმივ წევრს ფედერალურ საბჭოში

შენიშვნა: როგორც კავშირის გამგეობაში, ისე ფედერალურ საბჭოს დელეგატად შეიძლება არჩეულ იქმნენ არა დელეგატებიც.

§ 13. თუ რომელიმე რაიონში ან ქალაქში მხოლოდ ერთი ძირითადი ორგანიზაციაა, მაშინ იგი პირდაპირ გზავნის ერთ წარმომადგენელს ფედერ. საბჭოში.

§ 14. საბჭოს კრებები იმართება საჭიროების მიხედვით გამგეობის მოწოდებით თვეში ერთხელ მაინც და კანონიერად ითვლება, თუ დელეგატთა ნახევარი მაინც დაესწრო. გადადებული კრება კანონიერია, რამდენი დელეგატიც არ უნდა დაესწროს.

საბჭოს შეუძლია არჩეული პირები გამოსცვალოს, როდესაც მოისურვებს. თუ კავშირის წევრ ორგანიზაციათა ერთი მეოთხედი მოითხოვს, გამგეობა ვალდებულია საბჭოს არა ჩვეულებრივი კრება მოიწვიოს.

§ 15. სარაიონო და საქალაქო კავშირის გამგეობანი უძღვებიან მიმდინარე საქმეებს, აქვთ მუდმივი ურთიერთობა მთავარ გამგეობასთან და ასრულებენ საბჭოს კრების დადგენილებებს.

## VI. ფედერალური საბჭო

§ 16. კავშირის ხელმძღვანელ ორგანოს წარმოადგენს ფედერალური საბჭო, რომელიც შესდგება სარაიონო და საქალაქო საბჭოების მიერ არჩეულ დელეგატებისაგან თანახმად § 12 სა.

§ 17. ფედერალურ საბჭოს იწვევს კავშირის მთავარი გამგეობა საჭიროების მიხედვით, მაგრამ წელიწადში ერთხელ მაინც

თუ ფედერალური საბჭოს ათი წევრი მოითხოვს, მთავარი გამგეობა ვალდებულია მოიწვიოს ფედერალური საბჭოს არა ჩვეულებრივი კრება

§ 18. ფედერალური საბჭო ხელმძღვანელობს კავშირის საერთო მუშაობას, იმუშავებს კავშირის ძირითად პრინციპებს, წესდებას, მოქმედების პროგრამას და ტაქტიკას. იხილავს მთავარი გამგეობის ანგარიშებს და ამტკიცებს ხარჯთ აღრიცხვას და სხვა.

§ 19. ფედერალური საბჭო ირჩევს ერთის წლით კავშირის მთავარ გამგეობას ცხრა პირისაგან შემდგარს, რომელთა არჩევა შეიძლება არა დელეგატებისაგანაც.

მთავარი გამგეობა უძღვება კავშირის მიმდინარე საქმეებს და აქვს მუდმივი ურთიერთობა სარაიონო საბჭოებთან და კავშირის ყველა ორგანიზაციებთან.

მთავარი გამგეობის ხელშია კავშირის ორგანოს და ლიტერატურის გამოცემა-გავრცელების საქმე.

ფედერალურ საბჭოს შეუძლია ვადის გასვლამდისაც დაითხოვოს მთავარი გამგეობა და ახალი შემადგენლობა აირჩიოს.

## VII. საერთო პირობები.

§ 20 კავშირის ყოველი წევრი ვალდებულია დაემორჩილოს ფედერალური საბჭოს და სათანადო უმაღლეს ორგანოების დადგენილებებს და საჭიროების დროს სადაო საკითხი გადაიტანოს მხოლოდ განსახილველად წესდების თანახმად კავშირის წევრთა საზოგადო კრებაზე.

§ 21. კავშირის ყოველი ორგანიზაცია დამოუკიდებელი და თავისუფალია თავის შინაურ მუშაობაში კავშირის წესდებით და პროგრამით განსაზღვრულ ფარგლებში.

§ 22. ყველა აღმასრულებელი ორგანოები კავშირისა, აგრეთვე არჩეული დელეგატები პასუხს აგებენ თავის მოქმედებაში ამრჩეველ ორგანიზაციის წინაშე და ვალდებულნი არიან ჩააბარონ მათ მოქმედების ანგარიში და დაემორჩილონ მათ გადაწყვეტილებას.

§ 23. სარაიონო და საქალაქო საბჭოები ვალდებულნი არიან თავის დროზე აცნობონ სამაზრო და ფედერალურ საბჭოებს მათ მიერ არჩეული დელეგატების ვინაობა, რათა კავშირის გამგეობას საშუალება ჰქონდეს მუდმივი ურთიერთობა დაიჭიროს საბჭოს წევრებთან.

§ 24. კავშირის ყველა ორგანოებს აქვთ სათანადო ბეჭდები.

---

*) ყველა ორგანიზაციას ევალება იხელმძღვანელოს ამ წესდებით დროებით, სანამ იგი არ იქნება განხილული მეორე კონფერენციის მიერ.

**მთავარი კომიტეტი.**

---

# უკანასკნელი ამბები.

**მოხალისეთა მოქმედება ბათუმში.** როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, ბათუმში გაუკრავთ დენიკინის მოხალისეთა ჯარის მოწოდება, ხელმოწერილი ვინმე გენერალ მათეიშვილის მიერ, მოხალისეთა ჯარი დიდი რუსეთის აღდგენისათვის ბრძოლაში სისხლისაგან იწრიტება და მოუწოდებენ ოფიცრობას, რათა მიეშველონ მათ და ხელი შეუწყონ „დიდი საქმის გაკეთებაში“ (sic!). ამ ფაქტში ერთხელ კიდევ მჟღავნდება ჩვენს ქვეყანაში მოკალათებულ ინგლისელი გენერლების გაიძვერობა და ზნედაცემულობა. ისინი ჰპირდებოდნენ ჩვენს მთავრობას, რომ ბათუმს მოხალისეთა ბაზად არ გახდიდენ, მაგრამ, როგორც სჩანს, „სისხლით დაწრეტილ“ დენიკინის ბანდას მაინც დიდად მფარველობენ. ნათქვამია, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო და აბა როგორ შეუძლია ინგლისის იმპერიალიზმის ცბიერ დიპლომატებს სხვაგვარად მოიქცენ!

დიდი სიფხიზლე მართებს საქართველოსა და საერთოდ ამიერ-კავკასიის მშრომელ ხალხს, რომ თავიდან აიცდინოს დენიკინის საფრთხე.

---

### ტფილისის ამბები.

**ახალი წიგნების მიღება.** რედაქციამ მიიღო ახალგაზდა მწერალთა კრებული „თოლაპურის სარტყელი“, გრ. ცეცხლაძის რედაქტორობით გამოცემული, და დამსახურებული საზოგადო მოღვაწის სილოვან ხუნდაძის წიგნაკი: „სოციალისტები შეერდით“.

---

### ჩვენ კავშირში

დღეს, 15 ივნის, საღამოს 7 საათზე, მუშტაიდის ბიუროში, მოხდება ამხ. ტრამვაიის მუშების კრება, მომხსენებლები იქნებიან ალ. წერეთელი, ბესო ქელბაქიანი და ალ. იოსელიანი. კრებაზე გაიმართება კამათი.

---

სამშაბათს, 17 ივნის, საღამოს 6 საათზე, დანიშნულია ნაძალადევის გკლ. სკოლის შენობაში სინდიკალისტ მუშების კრება მომხსენებელნი იქნებიან ბესო ქელბაქიანი და ალ. იოსელიანი.

---

ორშაბათს, 16 ივნის, „ახალ ნაკადის“ რედაქციაში დანიშნულია მთავარი კომიტეტის სხდომა საღამოს 7 საათზე.

---

# კიდევ ერთ გარემო.

თუ მთავრობისადმი დაჰკარგეს ზოგიერთებმა პატივისცემა, და მის გარშემო აჯანყდება, გასაკვირი არ არის და მისი საწინააღმდეგო განზრახვაც ჩაესახება.

ეს ხდება ზოგიერთ შემთხვევებში მთავრობის წვრილი მოსამსახურეების მეოხებით, რომლის მოღვაწეობაც... ხშირად მთავრობის ყურამდის არც კი უწევს...

და ამიტომაც არის ხანდახან მოქალაქე უკიდურეს მდგომარეობაში ვარდება, როცა სამართალს ველარ პოულობს მხოლოდ ერთი საშუალება რჩება, პრესა, რომ მისი საშუალებით ამცნოს საზოგადოებას. სამართალი და უსამართლობა, თუ ბოლოს და ბოლოს ესეც არ მოსწყვს.

მე მინდა ამითი ის ვსთქო, რომ ხშირად ისეთი პირი ინიშნება ზოგიერთ საქმეებზე, პარტიული მიხედულებით, რომელიც არსებითად, არც საქმით, აც ცოდნით არ შეეფერება დანიშნულ ადგილს.

ასეთი მდგომარეობა რა თქმა უნდა ჰბადებს მოქალაქეს შორის გაუგებრობას, ეს წვრილი წევრები პარტიის, ვითომდა ნამდვილი სოც.-დემოკრატია, არსებითად კი წმინდა ჯიბისტები, ვერას დროს ვერ ურიგდებიან კოლექტიურ მოპირდაპირეს ვერც ერთ დარგში, ყველგან ლამობენ მოპირდაპირის ლიკვიდაციას, ავიღოთ მაგალითად ტფ. ტრამვაის დარგი, სადაც გაბატონებულია მმართველი პარტია, არამც თუ მოპირდაპირეს წინაშე, არამედ ნაწილი ვითომდა მოწინავე ელემენტები, თვით თავის მასსის წინაშეც.

ამ დარგში არსებობენ რუს. ესერები, დაშნაკცუთუნები, ფედერალისტებისაგან გამოყოფილი საქ. რევ. სინდიკალისტ-მაშვრალთა კავშირი, რიცხვით 60 წევრამდის, ყველაზე მეტად გაბატონებულმა პარტიამ ჩაგვ'ის ისარი მათკენ მომართა.

ამ მუშებმა სხვა გზით აირჩიეს სოციალიზმის გზა, მათი პრინციპი სახელმწიფოს საშუალებით არ ფიქრობს სოციალიზმის განხორციელებას, არამედ სახელმწიფოს გარეშე ეყრდნობა, მაგრამ ამ ხალხმა როგორც ერთ დროს ფედერალიზმი და ეროვნული საკითხი გამოიყენეს სადემაგოგიოთ მასსის წინაშე, თვისი გამოქნილი აგენტების შემწეობით, რომლის წინაშეც დღეს მუხლმოყრილი ლოცულობენ. აი დღეს ეს სინდიკალიზმი უნდათ გამოიყენონ სადემაგოგიოთ, რაც თითონ არ იციან და არ იცნობენ, ყველაფერი გლახა და უვარგისი გონიათ, ერთმა მათმა მოწინავე წევრმა ი. მეგრელიშვილმა კამათის დროს ეს დაიძახა კარგათ კი არ ვიცი რას მოასწავებს სინდიკალიზმი მაგრამ. . ეს კი ვიცი თქვენ სახელმწიფოს უარსყოფთ, და მის დაქცევას ლამობთო, სუყველანი უნდა დაგატუსაღოთ და საგუბერნიო ციხეში დაგამწყვდიოთ, ბოლშევიკებთან ერთადო!

მკითხველ საზოგადოებამ იცის ქალაქის ტრამვაია რას წარმოადგენს თუ პირველი არა მეორე მაინც მუშათა დარგია, სადაც ბევრი კარგი გაკეთებულა, პოლიტიკურად დევნილან, მაგრამ არა მარტო მენშევიკები არსებითაც სხვები.

რევოლიუციასაც ღირსეულ სამსახურს უწევენ, სადაც ყოფილა არც ერთ ფრონტს ჩვენი კავშირის ამხანაგები არ დაკლებია, ამას მოწმობს ზვარაკად მიტანილი ამ დარგის ჩვენი ამხანაგის გაცივებული გვამი სამშობლოს საკურთხეველზე მიტანილი, ვაშნარში ოზურგეთან ბრძოლის დროს დაღუპული დედის ერთა, აკაკი ბუაჩიძე, რომელიც ტრამვაის დარგიდან პირველი ნორჩი მსხვერპლი იყო. მაგრამ... გულ-ცივ ხალხს ეს არ აგონდებათ და მეგრელიშვილები და დონდუაშვილები, ჩვენ გვეუბნებიან სად იყავით! რა გააკეთეთო?! ის ხალხი, რომელიც საშაჰრეთ-საპურეთს ვერ მოშორებიათ, ჩვენ იქ ვიყავით, სადაც თქვენ ბრძოლას შეგაჩვიეთ და გასწავლეთ კიდეც დრაღ!

ჩვენ მუდამ შევებრძოლებით რეაქციონერებს, დენიკინ-შავ-რაზმელებს საქართველოს [illegible] ლო ჩვენ კომუნისტები [illegible] ლა ციხეებში [illegible] დავხვრიტავთ.

ჩვენ გვყავდა რაზმი რევოლიუციის დაწყების დღიდან რა წამსაც საჭირო შეიქნა სამშობლო იარაღით ხელში დაგვეცვა, და უკანასკნელად ამხ. ვ. ჯუღელის დავალებით ა[illegible]ნალის ნაწილს ვყარაულობდით, მაგრამ ხსენებული პირები ვერც ამ გარემოებას შეურიგდენ, მათივე ზეგავლენით, მოგვხსნეს სადარაჯოდან არა რაიმე მიზეზისათვის, ჩვენ პირნათლად ვასრულებდით დაკისრებულ მოვალეობას, რასაც თვითონ ვერ უარყოფენ, ხოლო მიზეზს თვით მკითხველი იპოვის, ჩვენ განთავისუფლებისთვის წინადაც მადლობა შევსწირეთ. ხოლო ათი დღის ჯამაგირი, რომელიც დაგვაკლდა ხუთ კაცს ეს კი გულ სატკენია.

ეხლა ვფიქრობთ პრესმა მაინც იქნებ მიატანოს მის ყურამდის, ვინც სამართლიანობას ყურადღებით ეკიდება!..

მდგომარეობა ასეთი იყო, როცა 5 მარტს გაგვიცხადეს გვარდიელები გაგვინთავისუფლდნენ, თქვენს ადგილს ისინი დაიკავებენო. 5-დან ჩვენ რომელიც ამ რაზმს ხელმძღვანელობდა ჯამაგირების გამოწერა-დარიგება, იარაღის ყურადღების მიქცევა და სხვადასხვა, 15 მარტამდის მოუნდით არსებითად ამ რაზმის საქმის გამოსწორებას, მაგრამ როცა ეს ფული მოვითხოვეთ, ბ. აუშტროვმა, რომელიც ფართედ და თბილად არის მოკალათებული მთავარ შტაბის რბილ სავარძელში, მან ტიპიურად გვიბრძანა ეგ ფული თქვენ არ მოეცემათ, შტაბმა დაადგინაო, როცა თავმჯდომარის ამხანაგს შევეკითხეთ; მე გადავეცი აუშტროვს. მერე კიდევ შევიტანეთ განცხადება, მაგრამ იგი უყურადღებოდ, მხოლოდ განცხადებათ დარჩა.

საქმე იმ სუმაში არ არი, რომელსაც შეიძლება ჩვენ მუშებისთვის ათი დღის ჯამაგირს დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ... საქმე პრინციპშია, ჩვენ არას ვიტყოდით ბ. აუშტროვზე მაშინ, თუ მართლაც ჩვენი სახელმწიფოსი, ასეთი ინტერესის დამცველია ეკონომიურის თვალსაზრისით, მაგრამ თუ კი ასეა რატომ იმათ არ უწევენ ანგარიშს, როცა გვარდიის სახელით ანთავისუფლებენ ხალხს და პროვინციებში პარტიული ორგანიზაციების მოწყობისთვის ამუშავებენ! ან და კიდევ ოცდა ათი (30) კაცი ყოველ დღე ტროტუარის ცვეთის მეტს არაფერს აკეთებენ, რატომ იმას არ ანგარიშობენ! სადაც 30 კაცის მაგიერ ხუთ კაცს შეუძლია მორიგეობა გასწიოს, მაგრამ საქმე სახალხო გვარდიასთან კი არა გვაქვს, უფრო პარტიულია არსებითათ კი „მენშევიკური“, აი მოკლედ და მეტს არას სამბობ...

**ევს. ნავარძელი.**

---

რედაქტორ-გამომცემელი.

**სარედაქციო-კოლეგი**